უნივერსიტეტის დაფინანსებით ან უნივერსიტეტის გამომცემლობის ISBN-ით წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით:

1. თუ აკადემიური პერსონალი ან სხვა პირი კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობას მიმართავს ISBN-ის მინიჭების მოთხოვნით, ნაშრომი შეაფასოს/რეცენზირება განახორციელოს შესაბამისი დარგის ექსპერტმა და მხოლოდ დადებითი დასკვნის შემთხვევაში მიენიჭოს ნაშრომს ISBN. შეფასების/რეცენზირების თანხა თუ დაფინანსდა კავკასიის უნივერსიტეტის მიერ, მაშინ იხილეთ პუნქტი 2-ის მიდგომა. თუ თავისი სახსრებით დააფინანსებს რეცენზირებას, მაშინ პუნქტი 2-ის მიდგომა არ იქნება და უბრალოდ ISBN-ს მივანიჭებთ.

   იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი გეგმავს სახელმძღვანელოს გამოცემას, ISBN-ის მისანიჭებლად საჭიროა შესაბამისი სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.

2. თუ ნაშრომი იბეჭდება კვლევის შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში, ნაშრომის ავტორი უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიასთან შეთანხმებით ადგენს სარეალიზაციო ფასს, მიღებული შემოსავლიდან იფარება უნივერსიტეტის მიერ სტამბურ და სარედაქციო მომსახურეობაზე გაწეული ხარჯი, ხოლო მოგება თანაბრად (50%-50%) ნაწილდება უნივერსიტეტსა და ნაშრომის ავტორს შორის